

სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“-ს მიერ

ნაწილები და აქსესუარები

სატრანსპორტო

საშუალებებისა და მათი

ძრავებისათვის

ელექტრონული ტენდერის

სატენდერო დოკუმენტაცია

CPV(34300000)

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.

სავარაუდო ღირებულება: **20980** ლარი.

სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის „გამარტივებული შესყიდვის „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე

თბილისი-2014 წელი

სარჩევი

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.....	3
2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:	4
3.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი	9
4.მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი.....	9
5.ანგარიშსწორების პირობები.....	9
6.პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები	9
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი.....	10
8. დამატებითი ინფორმაცია:.....	16
დანართი N1.....	17
დანართი N2.....	18

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

- 1.1. სახელმწიფო შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში- სისტემა).
- 1.2. სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებულ „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესაბამისად.
- 1.3. ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად და მოწმებული ქართული თარგმანი.
- 1.4. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.
- 1.5. სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.
- 1.6. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდეროდო კუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულებების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.
- 1.7. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

2. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.1. შესყიდვის ობიექტია ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის:

ავტომობილის სახეობა : მიცუბიში პაჯერო იო 1999-2001 წელი

#	საქონლის დასახელება	განზომილება და რაოდენობა	რაოდენობა
1	ამორტიზატორი უკანა	ცალი	4
2	ამორტიზატორი წინა	ცალი	4
3	ამორტიზატორის ბალიში (ჩაშკა)	ცალი	11
4	ამორტიზატორის ქვედა რეზინი	ცალი	11
5	ამორტიზატორის ზამბარა (პრუჟინი)	ცალი	4
6	ანთების სანთელი (სვეჩი)	კოპლექტი	36
7	ბაზინა	ცალი	1
8	ბარაბანი თვლების	კოპლექტი	5
9	ბერკეტი ქვედა	ცალი	4
10	ბერკეტის მილისა (რაზვალის ტულკა) კომპ.	კოპლექტი	4
11	ბჯენი (სტერჟინი)	ცალი	4
12	გადაბმულობის ბალიში	ცალი	2
13	გადაბმულობის დისკი	ცალი	2
14	გადაბმულობის/ცეპლენიის ზედა ავზი(ბაჩოკი)	კოპლექტი	2
15	გადაბმულობის საკისარი (ვიჯიმნოი)	ცალი	5
16	გადაბმულობის ქვედა ავზი(ბაჩოკი)	კოპლექტი	2
17	გადაბმულობის ქურო (პლიტა)	კოპლექტი	1
18	გალოვკის პრაკლადკა	ცალი	3

19	გილზა (კომპექტი)	კოპლექტი	2
20	გერმეტიკი (ტუბიკში)	ცალი	5
21	დამრტყმელი წვევა (უდარნი ტიაგა)	კოპლექტი	4
22	დამრტყმელი წვევის მტვერდამცავი (პილნიკი)	ცალი	4
23	დინამოს ღვედის როლიკი	კოპლექტი	1
24	დინამო/გენერატორი	ცალი	1
25	დინამოს საკისარი	ცალი	3
26	ვკლადიშები	კოპლექტი	1
27	ზაჟიგანიის ზამოკი	ცალი	1
28	ზეთის ავზის (კარტერის)საფენი	ცალი	2
29	ზეთის ავარიული მაჩვენებელი	ცალი	1
30	თერმოსტატი	ცალი	1
31	კარდნის ჯვარა(კრესტავინა)	ცალი	10
32	მაყუჩის კოლექტორის პრაკლადკა (შუასადები)	ცალი	4
33	მინის მწმენდი წინა	ცალი	2
34	მორგვი წინა (სტუპიცა)	კოპლექტი	2
35	მორგვი უკანა (სტუპიცა)	კოპლექტი	2
36	მორგვის საკისარი (სტუპიცის საკისარი) უკანა	ცალი	6
37	მორგვის საკისარი (სტუპიცის საკისარი) წინა	ცალი	6
38	მუშა ავზი ტორმუზის	კოპლექტი	1
39	მუხრუჭის მანჟეტი რემ. კომპ. მთავარი ავზით	კოპლექტი	2
40	მშრალი ამორტიზატორის მილისა (სუხოის რეზინი)	კოპლექტი	6
41	ნაკანეჩნიკი	კოპლექტი	4
42	პორშინი (კომპ.)	კოპლექტი	1

43	რადიატორი კონდიციონერის	ცალი	1
44	რადიატორი წყლის	ცალი	1
45	რაზდატკის რეზინის სალნიკები	კოპლექტი	2
46	რაზდატკის შუასადები (პრაკლადკა) კომპლექტი	ცალი	3
47	რელე ზარიადკის	ცალი	2
48	საკისარი ხიდის (რედუქტორის საკისარი)	ცალი	3
49	სამუხრუჭე სისტემის მილი	ცალი	2
50	სამუხრუჭე ხუნდი (ნაკლადკები) უკანა	კოპლექტი	4
51	სამუხრუჭე ხუნდი (ნაკლადკები) წინა	კოპლექტი	4
52	სანთლის (სვეჩის) გაყვანილობა. კომპლ.	კოპლექტი	1
53	საყრდენი დისკი (აპორნი) წინა	კოპლექტი	2
54	საწვავის საქაჩი (ბენზონასოსი)	ცალი	2
55	სტარტერი	ცალი	1
56	სტარტერის ბენდექსი (დიდი)	ცალი	2
57	სტარტერის ტულკები (დიდი)	ცალი	2
58	სტარტერის ღილაკი	ცალი	3
59	სტარტერის ჩოთქები	კოპლექტი	3
60	სტერჟინი წინა	ცალი	4
61	სტერჟინი უკანა	ცალი	4
62	სტუპიცის სალნიკი (ჩობალი)	კოპლექტი	2
63	ტაბიკის საკისარი (ცაპკა)	ცალი	4
64	ტაბიკის საკისარი(სტუპიცა)	ცალი	4
65	უკანა მაშუქი	ცალი	2
66	უკანა მაშუქის ნათურა	ცალი	12

67	უკანა ხედვის სარკეები	ცალი	1
68	უკანა მშრალი გამწე (ტიაგა/სუხოის რკინა)	ცალი	2
69	ფერადო (მდაღიებით/ზაკლიოპკა)	კოპლექტი	2
70	ღვედი გენერატორის	ცალი	6
71	ღვედი დინამოსი	ცალი	6
72	ღვედი ძრავის	ცალი	4
73	ღვედი კონდიციონერის	ცალი	6
74	ღვედი ჰიდრაულიკის	ცალი	4
75	ყუმბარა გარეთა	ცალი	4
76	ყუმბარა შიდა მარცხენა	კოპლექტი	2
77	ყუმბარა შიდა მარჯვენა	კოპლექტი	2
78	შარავი ზედა	ცალი	4
79	შარავი ქვედა	ცალი	4
80	ჩოხალი ხიდის (ხიდის სალნიკი)	ცალი	4
81	ძრავის მასრის საფენი (კრიშკის პრაკლადკა)	ცალი	2
82	ძრავის საყრდენი ბალიში (პოდკორობაჩნი/პოდმოტორნი)	კოპლექტი	2
83	ძრავის ჩოხალი (სალნიკი) რასპრედვალის	ცალი	2
84	ძრავის ჩოხალი (სალნიკი) კლაპნის	ცალი	12
85	წინა მაშუქი (ფარები)	ცალი	2
86	წინა მაშუქის ნათურა (ჰალოგენი)	ცალი	2
87	წყლის ტუმბო (პომპა)	ცალი	2
88	ხმოვანი საყვირი	ცალი	1
89	ჰიდრაულიკის ტუმბო-საქაჩი (ნასოსი)	ცალი	1
90	ჰიდრაულიკის ავზი (ბაჩოკი)	ცალი	2

შენიშვნა:

1. თუ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასიდან გამომდინარე, ერთეულის ფასები წარმოადგება მრავალნიშნა ათწილადის სახით, გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის შეამციროს ერთეულის ფასი და დაამრგვალოს მეასედებამდე. შესაბამისად, შეამციროს საერთო ფასიც.
2. პრეტენდენტი, რომელიც არ არის დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს დღგ-ს გათვალისწინებით, ხოლო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებისას აღნიშნული გადასახადი დააკლდება მის მიერ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულებას.
3. პროდუქციის ჩამონათვალის ცხრილში, შესასყიდი საორიენტაციო რაოდენობა, შესაძლოა შეიცვალოს (გაიზარდოს), ელექტრონული ვაჭრობის შედეგად, ერთიან ელექტრონულ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო სახელშეკრულებო ფასის ფარგლებში.
4. შესასყიდი პროდუქციის ჩამონათვალში მითითებული პროდუქციის რაოდენობა არ წარმოადგენს სავალდებულო შესასყიდ რაოდენობას.
5. შემსყიდველმა შესაძლოა შეისყიდოს არსებული ჩამონათვალიდან მხოლოდ რამოდენიმე დასახელების პროდუქცია.
6. ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული ერთეულის ფასი არ შეიძლება შეიცვალოს მიუხედავად განხორციელებული შესყიდვის რაოდენობისა.
7. სატენდერო წინადადება რომელშიც საქონლის ერთეულის ფასი გადააჭარბებს შემსყიდველის მიერ განფასების ცხრილში დაფიქსირებულ ერთეულის სავარაუდო ფასს, არ ჩაითვლება მისაღებად.
8. ფასების ცხრილში დაფიქსირებული სავარაუდო ჯამური ღირებულება წარმოადგენს ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულებას და შესაძლოა შემსყიდველმა არ განახორციელოს სრულ თანხაზე შესყიდვა.

3.საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. მიწოდება უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

3.2 საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ქ.თბილისი პეკინის N28.

4.მიღება-ჩაბარების გაფორმების წესი

4.1.მიწოდებულ საქონელზე ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი წერილობითი ფორმით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

5.ანგარიშსწორების პირობები

5.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარისწორებით ლარში.

5.2.ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენის საფუძველზე 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6.პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები

6.1 „ფასებისცხრილი“ დანართი #1-ის შესაბამისად;

6.2 რეკვიზიტები დანართი #2-ის შესაბამისად;

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

/ხელშეკრულების პირობები დაზუსტდება გამარჯვებულ კომპანიასთან/

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ#

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2014 წელს

ერთის მხრივ სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი“ (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ თეიმურაზ ხარაშვილის სახით და მეორეს მხრივ _____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის _____ სახით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, შემსყიდველის მიერ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის SPA _____ საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

გამოყენებული ტერმინების განმარტებები:

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“(შემდგომ „ხელშეკრულება“) _შემსყიდველ ორგანიზაცია სადატენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

„ხელშეკრულების ღირებულება“ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

„შემსყიდველი ორგანიზაცია“(შემდგომ „შემსყიდველი“)ნიშნავს ორგანიზაციას(დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

„მიმწოდებელი“ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და აწვდის საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

„დღე“ „კვირა“ „თვე“ნიშნავს სამუშაო დღეს, კვირას, თვეს.

1. შესყიდვის ობიექტი
 - 1.1. შესყიდვის ობიექტია ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის, რომელთა ნუსხა მოცემულია დანართში N1 CPV 34300000
2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება
 - 2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: _____ ლარს;
 - 2.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის რაოდენობა განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულების დანართით #1 (ფასების ცხრილი);
 - 2.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ყველა გადასახადს, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ეკისრება მიმწოდებელს.
3. საქონლის მიწოდების ვადები და პირობები.

- 3.1. საქონლის მიწოდების საბოლოო ვადაა 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ეტაპობრივად მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.
- 3.3. საქონლის მიწოდების ადგილი განისაზღვრება ქ.თბილისი პეკინის 28
- 3.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო და ახალი საქონელი.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

5. სტანდარტები

- 5.1. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. საქონლის ხარისხი

- 6.1. ხელშეკრულების ფარგლებში მისაწოდებელი საქონელი უნდა იყოს ახალი, ხარისხიანი და აკმაყოფილებდეს შემსყიდველის მოთხოვნებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 7.1. შემსყიდველსან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.
- 7.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.
- 7.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.
- 7.4. ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.
- 7.5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განხორციელებს სსიპ „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის“

8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 8.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.
- 8.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს, წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.5 პუნქტში მითითებული პირები.
- 8.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

9. ანგარიშსწორება

- 9.1. მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
- 9.2. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.
- 9.3. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა.

- 10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 10.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან შემსყიდველისათვის უარესდება ხელშეკრულების პირობები, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.
- 10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. უფლებების გადაცემა

- 11.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

12. სუბკონტრაქტორები

- 12.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანისას შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 12.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 12.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არცერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

- 13.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისას შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეებს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.3%-ის ოდენობით, ხოლო, თუ კი ადგილი

აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.3%-ს.

13.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, მხარეებს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება

13.3. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს მთელი საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

14.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

14.4. ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულება.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას იმით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არა ოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს ან აღსრულების ეროვნულ ბიუროს თუ ხელშეკრულებაში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

17.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. შეტყობინება

18.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

18.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება..

19. სხვა პირობები

19.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

19.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

19.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

19.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

20. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ „სსდ ცენტრი“

ს/კ: 205307960

მის.: ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზ.#144

საბანკო რეკვიზიტები:

სს „ლიბერთი ბანკი“

ბ/კ LBRTGE22

ა/ა GE24LB0121183336407000

მიმწოდებელი

თეიმურაზ ხარაშვილი

დანართი N1

ფასების ცხრილი

#	ტენდერით გამოცხადებული საქონლის დასახელება	შემოთავაზებული საქონლის დასახელება/მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია	მიწოდების ადგილი და ვადა	განზომილება	სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სავარაუდო ჯამური ღირებულება
1	2	3	4	5	6	7	8	9

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი _____

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დაბეჭედი

8. დამატებითი ინფორმაცია:

8.1 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, მის: კ.გამსახურდიას 28. მე-3 სართული,

საკონტაქტო პირები:

ლაშა სხვიტარიძე ტელ:591 906 906/ელ.ფოსტა lasha.skhvitaridze@gmail.com

ელგუჯა გოდერძიშვილი ტელ: 555 55 95 99 ელ. ფოსტა e.goderdzishvili@gmail.com

ფასების ცხრილი

#	ტენდერით გამოცხადებული საქონლის დასახელება	შემოთავაზებული საქონლის დასახელება/მახასიათებლები	მწარმოებელი ქვეყანა და კომპანია	მიწოდების ადგილი და ვადა	განზომილება	სავარაუდო რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სავარაუდო ჯამური ღირებულება
1	2	3	4	5	6	7	8	9

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი _____

პრეტენდენტის ხელმოწერა _____

დაბეჭედი

რეკვიზიტები

- ✓პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:
- ✓ხელმძღვანელის სახელი და გვარი:
- ✓პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:
- ✓საიდენტიფიკაციო კოდი:
- ✓პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:
- ✓ელექტრონული მისამართი:
- ✓ბანკი:
- ✓ბანკის კოდი:
- ✓ანგარიშის ნომერი:

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

დაბეჭედი